

**თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად**

**სამართლის მიმართულება**  
**დარგი: საერთაშორისო სამართალი**  
**ქვედარგი: ჰუმანიტარული სამართალი**  
პროფესორი - 1 საშტატო ერთეული;

**ჯანდაცვის მიმართულება**  
**დარგი: საზოგადოებრივი ჯანდაცვა**  
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულება**  
**ქვედარგი: ბიოფიზიკა**  
პროფესორი - 1 საშტატო ერთეული;

**სოციალური მეცნიერებების მიმართულება**  
**დარგი: პოლიტიკის მეცნიერება**  
პროფესორი - 2 საშტატო ერთეული;  
ასოცირებული პროფესორი -6 საშტატო ერთეული;  
ასისტენტ-პროფესორი -4 საშტატო ერთეული;  
ასისტენტი -2 საშტატო ერთეული;

**ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის**

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. იგი თანამდებობაზე აირჩევა 5 წლის ვადით.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. იგი თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით.
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით.
4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 წლის ვადით.
5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიურ თანამდებობაზე აირჩიოს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალი. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

**თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- რეზიუმე (CV) - დადასტურებული ხელმოწერით;

- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციისა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები (დოქტორანტებმა - ცნობა დოქტორანტურიდან);
- სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (ბოლო 10 წლის განმავლობაში, წლების მითითებით) და დამადასტურებელი ინფორმაცია ელექტრონული სახით;
- შესაბამის სფეროში სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი ინფორმაცია (თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
- სადისერტაციო თემის შესახებ ინფორმაცია (თემის სათაური, მიმართულება, დარგი - თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
- არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსი;

საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2019 წლის 18 მარტიდან 2019 წლის 21 მარტის ჩათვლით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე [info@openuni.edu.ge](mailto:info@openuni.edu.ge) სათაურის ველში მიუთითეთ „კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად“

ასევე განაცხადი მიიღება : თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.#2 , მე-3 სართული, ოთახი #301 (კანცელარია) .

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად.

1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა/შესწავლა
2. გასაუბრება

გასაუბრება ჩატარდება 2019 წლის 22 მარტს.

საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2019 წლის 25 მარტს.